ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი
წევრ(ებ)ი:
თეა ელერდაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239404079

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერის მუნიციპალიტეტი. სოფელი კორბოული
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორბოული, მე-4 ქუჩა, N 42; 44; 51-ე ქუჩა N5
საფოსტო ინდექსი	4007
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	კორბოულის N1 საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Korbouli1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577621362

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ერონული ცენტრის 2025 წლის 5 ნოემბრის ბრძანება MES 8 25 0001538586, ცვლილება ბრძანებაში MES 2 25 0001568352 (09.11.2025 წ)
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	4,5 დეკემბერი, 2025 წელი.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლას (ს/კ:239404079) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 05/12/2023 წლის MES 2 23 0001650749 გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 05/12/2025 წლის MES 9 23 0001647272 სხდომის ოქმით საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით. მონიტორინგის დაწყების პერიოდი განისაზღვრა 2025 წლის ნოემბრიდან, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ფორმად დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სკოლაში განხორციელდა 2025 წლის 4 და 5 დეკემბერს. გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. განხორციელდა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ინტერვიუმ ექსპერტებს საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის სტანდარტების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის სამივე (I, III, IV)სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები, რჩევები და ხარვეზები დეტალურადაა აღწერილი დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	117

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის (შემდეგში სკოლა) ერთ-ერთ გამორჩეულ პრაქტიკად შეიძლება განვიხილოთ მისი ჩართულობა სასკოლო ქსელში, რომელშიც გაერთიანებულია კორბოულის N1 და N2, ნიგვზარის, სისვაძეების, შომახეთის, ლიჩისა და ჭალვანის საჯარო სკოლები. აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს გამოცდილების გაცვლას, რესურსების გაზიარებასა და სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. ქსელში გაერთიანებული სკოლები პერიოდულად ირჩევენ ლიდერ სკოლას, რომელიც ორგანიზებას უწევს საერთო აქტივობებსა და ღონისძიებებს. ლიდერი სკოლის ფუნქციის შესრულების პერიოდში, კორბოულის №1 საჯარო სკოლამ დაგეგმა და განახორციელა მრავალფეროვანი თანამშრომლობითი/საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის: თანამშრომლობითი გამოცდილების გაზიარების შეხვედრები სასკოლო ქსელის სკოლებს შორის პროფესიული დიალოგის და საუკეთესო პრაქტიკების გავრცელების მიზნით, სპორტული ღონისძიებები (ფეხბურთის და კალათბურთის შეჯიბრი და „მხიარული სტარტები“), ინტეგრირებული ღია გაკვეთილები - პროექტზე ორიენტირებული სწავლების დემონსტრირება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, უცხო ენებისა და ხელოვნების გაკვეთილებზე, სასწავლო - შემეცნებითი ვიქტორინა მოსწავლეთა ცოდნის და მოტივაციის გაძლიერების მიზნით, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული საღამოები. აღნიშნული თანამშრომლობითი პროცესები ქმნის პლატფორმას სკოლებს შორის უწყვეტი კოორდინაციის, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული მუშაობისა და პროფესიული ზრდისათვის.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. **ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლამ, 2025 წლის 29 დეკემბრის (ცენტრში რეგისტრაციის N1856630) კორესპონდენციით, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, წერილში სკოლა დაეთანხმა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა ზოგიერთ ინდიკატორთან მიმართებით ხარვეზის გამოსწორების მტკიცებულება, ზოგიერთ ინდიკატორთან მიმართებით კი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. წარმოდგენილ გეგმაში

სკოლამ გაწერა ხარვეზის დაძლევის ვადები, შესასრულებელი აქტივობები, რისკები, აქტივობებში ჩართული მხარეები. განსაზღვრა საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ, ინდიკატორებთან 3.2.1.2, 3.4.1.1, 3.4.1,2 და 3.4.1.3 მიმართებით ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“, ხოლო 3.3.1.2, 3.4.1.6, 3.5.1.1 და 3.6.2.1 ინდიკატორების შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი დაკმაყოფილებულია“ .

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლამ დასაქმებულთა შეფასება, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა და აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნველყოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.12.2025-30.06.2026 წ პერიოდში).

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა .

ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	ა. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადაში (2025 წლის 24 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე განახორციელოს აღებული ვალდებულება, შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან ორივე ლოკაციაზე არსებული შენობისათვის. ბ. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადაში (2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე მოახდინოს სკოლის ხანძარსაწინაარმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა ორივე ლოკაციაზე არსებული შენობებისთვის. გ.სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (12.12.2025-30.06.2026 წ) უზრუნველყოს 51-ე ქუჩა N5-ში მდებარე სკოლის შენობის ექასპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება დ. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (12.12.2025-30.06.2026 წ) უზრუნველყოს მე-4 ქუჩა N42,44 ში მდებარე შენობაზე მოპოვებულ ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნაში მითითებული სკოლის დასახელებისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი შესაბამისობაში მოყვანა
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (19.12.2025-19.12.2026 წ) უზრუნველყოს 51-ე ქუჩა N5 მისამართზე არსებულ სკოლაში ექიმის/ექთნის დასაქმება და სამედიცინო პუნქტისთვის სივრცის გამოყოფა.
ინდიკატორი N3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (12.12.2025-12.12.2026 წ) უზრუნველყოს

		სკოლის შენობის ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა ორივე მისამართზე.
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადებში (2025 წლის 24 ნოემბერი-2026 წლის 24 ნოემბერი) უზრუნველყოს მე-4 ქუჩა N42,44 მისამართზე არსებული სკოლის შენობის ადაპტირება.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია, რომ მომავალში მსგავსი მნიშვნელოვანი პროცესების განხორციელებისას სკოლამ უზრუნველყოს სრული და სტრუქტურირებული დოკუმენტირება (ინტერვიუების ჩანაწერები, გამოკითხვების ანალიზი და სხვა შესაბამისი მასალები). აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, არამედ ქმნის მტკიცებულებების სრულყოფილ პაკეტს, რომელიც საჭირო ხდება სხვადასხვა შემთხვევებში სკოლის საქმიანობის სანდოობის, გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და განხორციელებული ღონისძიებების დადასტურებისთვის. ასეთი მტკიცებულებები მნიშვნელოვანია როგორც შიდა შეფასების, ისე გარე მონიტორინგის პროცესებში.
ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების	სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს **სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული ფორმები და პროცედურები** .

	გათვალისწინების მექანიზმებს	
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სასურელია სკოლამ დასაქმებულთა ჩანაცვლების არსებული პრაქტიკა ჩამოაყალიბოს წესად, რათა უზრუნველყოს ჩანაცვლების პროცესების ერთგვაროვანი განხორციელება, გაზარდოს საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტობა.
ინდიკატორი N3.1.2.3	.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია განსაზღვროს და გაწეროს იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც უნდა ინახებოდეს თითოეული დასაქმებულის პირად საქმეში. დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრა სკოლას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს შრომითი ურთიერთობებისთვის საჭირო ინფორმაციის სრული და სათანადო დაფიქსირება, შეამციროს ადმინისტრაციული ხარვეზები და განამტკიცოს სამართლებრივი დაცულობა.
ინდიკატორი N3.1.2.6	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	სასურელია სკოლამ გაწეროს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკაში არსებული/გამოყენებული მექანიზმები დოკუმენტურად რადგან მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები ქმნის ერთიან, გამჭვირვალე და ყველა თანამშრომელისთვის თანაბარ მიდგომას. დოკუმენტირება უზრუნველყოფს, რომ წარმატებული პრაქტიკები დაფიქსირდეს და არ დაიკარგოს თანამშრომლების ცვლილების შემთხვევაში. სისტემურად დაიგეგმოს და განახორციელდეს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია შეიმუშაოს კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების სისტემურ, სტანდარტიზებულ და გამჭვირვალე განხორციელებას, ხელს შეუწყობს პროფესიული საჭიროებების ზუსტ იდენტიფიცირებას და რესურსების მიზნობრივ

		დაგეგმვას.
ინდიკატორი N3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლები მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიე გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასე საჩივრების განხილვის სისტემა	სასურველია სკოლამ უფრო დეტალურად გაწეროს საჩივრის წარდგენის და განხილვის პროცედურა, მათ შორის ვადები, რათა უზრუნველყოს პროცესების გამჭვირვალობა, ერთგვაროვანი მართვა და სამართლებრივი დაცვა.
ინდიკატორი N3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	შეიმუშავოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ და დეტალურად აისახება სკოლის არსებული პრაქტიკა და განისაზღვრება პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს: უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის ერთიან წესს,მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებისა და რეაგირების ჩამოყალიბებულ პროცედურებს.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და	სასურველია სკოლამ უზრუნელყოს შრომის უსაფრთხოებ სპეციალისტის დასაქმება.

	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია გამოქვეყნდეს სკოლის ვებ-გვერდზე
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.2.2	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	სასურველია სკოლამ მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშრებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად
ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სასურველია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაწეროს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შედეგების გამოყენებას დაგეგმვის პროცესში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რეკომენდაცია	შესრულების სტატუსი
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.07.2023-01.02.2024	**შესრულებულია**
ინდიკატორი N1 .2.1. 3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს 1 წლიანი განვითარების გეგმა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.07.2023-30.12.2023	**შესრულებულია**
ინდიკატორი N 1.*2*.1.*4*	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს 1 წლიანი განვითარების გეგმა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.07.2023-30.12.2023	**შესრულებულია**
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**რეკომენდაცია**	შესრულებს სტატუსი
ინდიკატორი N 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდაა	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის	**შესრულებულია**

	განსაზღვრული	გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები იქნება განსაზღვრული. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.09.2023-30.12.2023	
ინდიკატორი N.3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობია განხორციელებას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს დოკუმენტი, რომელშიც სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები იქნება განსაზღვრული. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.09.2023-30.12.2023	**შესრულებულია**
ინდიკატორი N*3.1.2.1*	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს დოკუმენტი, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.08.2023-01.02.2024	**შესრულებულია**
ინდიკატორი N*3.1.2.3*	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, მასწავლებლის საკონკურსო კომისიის შექმნის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის შემადგენლობა შეესაბამებოდეს “მასწავლებლის	**შესრულებულია**

		საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მოთხოვნებს; გარდა ამისა მოაწესრიგოს პირადი საქმეები და შეავსოს კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისი ცნობებით, კერძოდ ცნობები: “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ”; “საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ და „ნასანართლობის შესახებ“ ცნობა. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.07.2023- 01.06.2024	
ინდიკატორი N 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს დოკუმენტი, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.08.2023- 01.02.2024	შესრულებულია

ინდიკატორი N*3.2,1.1*	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს დოკუმენტი, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.08.2023-01.02.2024	შესრულებულია
ინდიკატორი N*3.2.1.2*	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს დოკუმენტი, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.08.2023-01.02.2024	შესრულებულია
ინდიკატორი N 3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს დოკუმენტი, „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.08.2023-01.02.2024	შესრულებულია
ინდიკატორი N 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს ხარისხის განვითარების დოკუმენტი, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია -	შესრულებულია სკოლამ შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

		01.08.2023-01.02.2024	
ინდიკატორი N *3.4,1.1*	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეამოწმებინოს და შენობა და მოიპოვოს დასკვნა „შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების გეგმის შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 10.12.2023-10.10.2024	ა. სკოლამ შეამოწმებინა სკოლის შენობა და მოიპოვა დასკვნა „შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“, რომლის მიხედვითაც სკოლის ხანძარსაწინაარმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადებითი დასკვნის მოპოვების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 24 ნოემბრიდან, 2026 წლის 24 ნოემბრამდე. ბ. **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა** არ არის შეთანხმებული შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან . სტანდარტთან

			უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით სკოლამ აღნიშნული შეთანხმების მოპოვების ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს და დაამტკიცოს ახალი შინაგანაწესი, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.07.2023-01.12.2023	**შესრულებულია**
ინდიკატორი N 3.4.1.7.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 12.09.2023-01.12.2023	**შესრულებულია შემუშავდა უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი**
ინდიკატორი N 3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 12.09.2023-01.09.2024	**არ არის შესრულებული. სკოლამ შშმ პირებზე სკოლის ადაპტირების ვადად სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით** განსაზღვრა პერიოდი 2025

			წლის 24 ნოემბრიდან, 2026 წლის 24 ნოემბრამდე.
ინდიკატორი N 3.5.1.5.	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 12.09.2023-01.09.2024	არ არის შესრულებული
ინდიკატორი N 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს ვებ გვერდის ამუშავება, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.09.2023- .01.07.2024	**შესრულებულია**
ინდიკატორი N ი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს ვებ გვერდის ამუშავება და მასზე საჭირო ინფორმაციის განთავსება, აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.09.2023-.01.07.2024	**შესრულებულია**

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	**რეკომენდაცია**	**შესრულებს სტატუსი**
ინდიკატორი N N*4.1.1.3.*	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, უზრუნველყოს მშობლებთან ხელშეკრულების გაფორმება. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.09.2023-30.12.2023	**შესრულებულია**
ინდიკატორი N 4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, შეიმუშაოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 01.09.2023-30.12.2023	**შესრულებულია**

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქრისტინე ხარშილაძის სახელობის სოფელ კორბოულის №1 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისია ორიენტირებულია ხარისხიანი ფორმალური და არაფორმალური განათლების უზრუნველყოფაზე, მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაზე, რაც ეროვნულ მიზნებში გაწერილ პრიორიტეტებს - პიროვნების მრავალმხრივ განვითარებას, მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას მიემართება.

სკოლის ხედვა, 2030 წლისთვის ფორმალური და არაფორმალური, მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შექმნითა და პროფესიული პროგრამებით გახდეს წამყვანი და კონკურენტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება რეგიონში მოსწავლის პიროვნული,

ინტელექტუალური და პროფესიული განვითარებისა და მრავალმხრივი შესაძლებლობების წახალისებაზეა მიმართული და უზრუნველყოფს მოსწავლის წარმატებულ საქმიანობას მომავალ ცხოვრებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით მკაფიოდ აყალიბებს საკუთარ როლს როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციოკულტურულ სივრცეს. მისია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა და პროფესიული სტუდენტების კრეატიულობის, სოციალური პასუხისმგებლობის, პიროვნული ზრდისა და მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე, განაპირობებს ისეთ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც წახალისებულია თანამშრომლობა, ინიციატივა და მოქალაქეობრივი აქტიურობა. აღნიშნული უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხრიდან თანაცხოვრების, თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და სოციალური ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერებას.

სკოლის ხედვა, რომელიც მოიცავს მრავალფეროვანი ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო გარემოს შექმნასა და პროფესიული პროგრამების განვითარებას, განამტკიცებს სკოლას როგორც სოციოკულტურულ სივრცეს. აღნიშნული გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესებისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების მხარდაჭერას, უზრუნველყოფს მათ მომზადებას თანამედროვე შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში და აყალიბებს სკოლას ადგილობრივი საზოგადოების განვითარების აქტიურ მონაწილედ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე, ინტერვიუს დროს განმარტა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გამოყენებული მიდგომები და დაასაბუთა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში. ჯგუფის წევრთა თქმით, სამუშაო პროცესის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები მოსწავლეებთან, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მიმართულების გაძლიერება, რაც გახდა ერთ-ერთი მთავარი საფუძველი სკოლის ფილოსოფიისა და ხედვის ფორმირების პროცესში. გარდა მოსწავლეთა ჩართულობისა, სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების კვლევაც. კერძოდ, ჩატარდა მშობლების გამოკითხვა, რომლის შედეგებიც შეჯერდა და გათვალისწინებული იქნა, განხორციელდა მასწავლებელთა გამოკითხვა, რაც დაეხმარა

სკოლას ფილოსოფიაში სკოლის ინტერესების ინტეგრირებაში. ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ სკოლის ფილოსოფიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში მონაწილეობდა სასკოლო საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი ჯგუფი. რაც შეეხება სკოლის ღირებულებებს, სამუშაო ჯგუფის განმარტებით ის შეირჩა არსებული პრაქტიკების ანალიზზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს მათ რეალურ შესაბამისობას სკოლის კულტურასთან, ქცევით ნორმებთან და ყოველდღიურ საქმიანობასთან. სკოლის მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მათ იცოდნენ სკოლის ფილოსოფია და იზიარებდნენ სკოლის ხედვას არაფორმალური განათლების გაძლიერების მიმართულებით.

რჩევა. სასურველია, რომ მომავალში მსგავსი მნიშვნელოვანი პროცესების განხორციელებისას სკოლამ უზრუნველყოს სრული და სტრუქტურირებული დოკუმენტირება (ინტერვიუების ჩანაწერები, გამოკითხვების ანალიზი და სხვა შესაბამისი მასალები). აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს არა მხოლოდ პროცესის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, არამედ ქმნის მტკიცებულებების სრულყოფილ პაკეტს, რომელიც საჭირო ხდება სხვადასხვა შემთხვევებში სკოლის საქმიანობის სანდოობის, გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და განხორციელებული ღონისძიებების დადასტურებისთვის. ასეთი მტკიცებულებები მნიშვნელოვანია როგორც შიდა შეფასების, ისე გარე მონიტორინგის პროცესებში.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა სამუშაო ჯგუფმა ინტერიუს დროს განმარტა, რომ მოამზადა ფილოსოფიის პროექტის პრეზენტაცია, პრეზენტაცია წარუდგინა როგორც პედაგოგიურ გუნდს, ასევე მშობლებს საერთო კრების ფარგლებში, რითაც უზრუნველყოფილ იქნა პროცესის გამჭვირვალობა და ინფორმაციის გაზიარება. სამუშაო ჯგუფის წევრების განმარტებით სასკოლო საზოგადოების მხრიდან პროექტმა დაიმსახურა მოწონება. ექსპერტთა მხრიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი აღნიშნული პრეზენტაცია გაზიარებული იქნა როგორც მტკიცებულება იმისა რომ სკოლამ სკოლის ფილოსოფია გააზიარა სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ის ატვირთულია სკოლის ოფიციალურ ვებგერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლა ასახავს სკოლის სამართლებრივ სტატუსს და შეესაბამება კანონმდებლობით (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ) დადგენლ ტერმინს „სკოლა“

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ფილოსოფიის პრეზენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-43, 21.06.2023), რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია: სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს თემისა და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების ინტეგრირებას სტრატეგიულ დაგეგმვაში, გუნდური მუშაობის პრინციპები, რაც იძლევა დაინტერესებული მხარეების უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას სკოლის განვითარების ხედვის ფორმირებაში, სასკოლო საზოგადოების მოსაზრებების ინტეგრირება, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობას და ჩართულობას.

სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული ფორმები და პროცედურები .

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 20 სექტემბრის N6 სხდომაზე) არის შვიდწლიანი. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების და განვითარების მეთდოლოგია სტრატეგიულ გეგმას განმარტავს როგორც გრძელვადიან დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს, მოიცავს გრძელადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს და გათვლილია 7 წელზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის მოქმედების ბოლო წელს სკოლა ახორციელებს სამიზნე ნიშნულების შესრულების დეტალურ ანალიზს, რაც განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების გეგმით. აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს საფუძველს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის და პრაქტიკულად ადასტურებს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ფუნქციონირებს ციკლურად, უზრუნველყოფილია მისი უწყვეტი შეფასება, კორექტირება და განვითარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედარებითი ანალიზით დადგინდა,რომ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ემსახურება სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტიობები (რომლებიც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას), აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, ქტივობის განხორციელების პერიოდი, შესრულების ინდიკტორები და რესურსები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-43, 21.06.2023);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 20 სექტემბრის N6 სხდომის ოქმი);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა .

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმის გადახედვა ხდება ყოველწლიურად, მონიტორინგი - 3 წელიწადში, ხოლო შეფასება ბოლო წელს. ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი იწყება მისი ამოქმედებიდან 6 თვის შემდეგ და შეფასება ხდება სასწავლო წლის ბოლოს. მონიტორინგის პროცესისთვის სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისგან იქმნება სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული გეგმის შეფასება ხდება სამოქმედო გეგმების ანგარიშების საფუძველზე, ხოლო სამოქმედო გეგმის შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულებისაგან გამოთხოვილი აქტივობების/ღონისძიებების დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. ანგარიში მომზადებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრული ვადების დაცვით. აღნიშნულ პროცესს ადასტურებს პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომელზეც მოხდა სამოქმედო გეგმის ანგარიშის გაზიარება მასწავლებლებისთვის. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგენეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეაფასეს თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულება, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის დირექტორმა 2025 წლის 9 სექტემბერს პედსაბჭოს წარუდგინა სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები, რაც დასტურდება პედსაბჭოს N6 ოქმით. თუმცა სკოლას სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ასევე საჯაროდ აქვს გამოქვეყნებული სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა აქტიურად იყენებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს შემდგომი განვითარების პროცესში. წარმოდგენილი 2025 წლის 9 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N6 ადასტურებს, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე წარდგენილი იქნა ახალი, 2025–2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. ოქმის მიხედვით გაიმართა მსჯელობა წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების დროს გამოვლენილ გამოწვევებზე/სუსტ მხარეებზე და ის აქტივობები, რომელიც განსაზღვრული იყო 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში და ნაწილობრივ შესრულდა გათვალისწინებული იქნა ახალ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული დაადასტურეს მასწავლებლებმაც გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭს სხდომის ოქმი N6 (9 სექტემბერი, 2025 წელი);
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშაევბისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ესრთწლიანი სამოქმედო გეგმმის შესრულების ანგარიში.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და შემუშავებული აქვს სტრუქტურის ვიზუალური გამოსახულება/ორგანიგრამა, რაც მის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. საშტატო განრიგი ასახავს სკოლაში არსებული საკადრო ერთეულების რაოდენობას, ორგანიგრამა კი წარმოადგენს ვიზუალურ საშუალებას, რომელიც მკაფიოდ ასახავს სკოლის მმართველობით სტრუქტურას, სტრუქტურულ ერთეულებს, პოზიციებსა და მათ შორის არსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთდაქვემდებარებას. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური

უზრუნველყოფის კოორდინატორი ბიბლიოთეკარი და 27 მასწავლებელი. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია ექიმი, 3 დამლაგებელი, მუშა, ცეცხლფარეში და 4 დარაჯი. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „თანამშრომელთა საკალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია - მოვალეობები“ (ბრძანება N2-37, 31 ოქტომბერი 2025 წელი) სადაც გაწერილია საშტატო განრიგით განსაზღვრული თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულის და ორგანიგრამით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით, სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულებით, სკოლაში დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობებით და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქცია მოვალეობების ანალიზით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად მოიცავს იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება, ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობას, პასუხისმგებლობების გამიჯვნას დასაქმებულთა შორის და მოიცას ყელა იმ საქმიანობის არეალს რაც სკოლაშია გათვალისწინებული.

ინდკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულება;
- თანამშრომელთა საკალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია - მოვალეობები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლაში დადგენილი შიდა რეგულაციების შესაბამისად. კონკრეტულად, ისინი რეგულირდება სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. სკოლის შინაგანაწესი, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 10 ივნისის N4 სხდომაზე, ადგენს შრომითი პირობების დაცვას სკოლაში, შრომითი ურთიერთობების წარმოშობას, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების წესებს, ზეგანაკვეთურ მუშაობასა და ანაზღაურების გაცემის წესს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტის წესებს, დასაქმებულის წახალისების ფორმებს, დისციპლინურ პასუხისმგებლობას და სხვა საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მათი ადაპტაციასა და სოციალიზაციას, შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარების შეფასებას, პროფესიულ განვითარებას, მოტივაციას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პროცესებს. შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსობრივი ანალიზით, დირექციასთან გასაუბრებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამშრომელთა დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ბრძანებები, ოქმები და სხვა) განხილვით დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციებისა შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირექციასთან განხორციელებული ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი დროებითი ჩანაცვლება ისე, რომ არ დაზარალდეს სასკოლო პროცესები. მაგალითად, თუ მასწავლებელი აცდენს საგაკვეთილო პროცესს, მას ანაცვლებს იგივე საგნის სხვა მასწავლებელი, ან გაკვეთილი ატარებს სხვა საგნის მასწავლებელი, ხოლო შემდეგ ხდება გაცდენილი გაკვეთილის აღდგენა. დამლაგებელს ანაცვლებს სხვა დამლაგებელი, დარაჯს-დარაჯი სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკას არსებითად უწყობს ხელს ასევე სკოლის მიერ ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული თანამშრომლის სოციალიზაციის პროცესი. სოცალიზაცია უზრუნველყოფს თანამშრომლის ეტაპობრივ ინტეგრაციას სკოლის კულტურაში, რაც ამაღლებს მისი საქმიანობის ეფექტიანობას, ამცირებს სისტემურ რისკებს და იძლევა საშუალებას პრევენციული და ინტერვენციული ნაბიჯები განხორციელდეს დროულად, შეთანხმებულად და მიზნობრივად. სკოლა ასევე განსაზღვრული აქვს სკოლის შეუფერხებელი

მუშაობის უზრუნველსაყოფად, გამოაცხადოს კონკურსი იმ პოზიციაზე, რომელიც კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის არ არის ვაკანტური, მაგრამ არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ აღნიშნული პოზიცია კონკურსის დასრულებამდე გახდება ვაკანტური. სკოლას მიეცა რჩევა, დასაქმებულთა ჩანაცვლების არსებული პრაქტიკა ჩამოაყალიბოს წესად, რათა უზრუნველყოს ჩანაცვლების პროცესების ერთგვაროვანი განხორციელება, გაზარდოს საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტობა.

ინდიკატორი დამაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს წესსა და პირობებს რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის, სამედიცინო პერსონალის და სხვა დასაქმებულის (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის, სპეციალური მასწავლებლის, ექიმის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტისა) შერჩევას, დასაქმებას, კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე მასწავლებლის შერჩევის პროცედურა. დოკუმენტების შესწავლამ დაადასტურა, რომ სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად აქვს ვაკანტური ადგილის დასაკავებლად განაცხადი გაკეთებული, შექმნილი აქვს შესაბამისი კომისია და შერჩევის პროცედურები ჩატარებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში ვიზიტის პერიოდში შესწავლილი იქნა დასაქმებულთა პირადი საქმეები, რომელთა დათვალიერებისა და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ყველა დასაქმებულის პირად საქმეს ახლავს სრულად ის დოკუმენტაცია, რაც აუცილებელია შესაბამის პოზიციაზე დასაქმებისთვის (რაც განსაზღრულია სსკოლის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნებით). 2020 წლის ივნისის შემდგომ დასაქმებულთა პირად საქმეებში კანონმდებლობის შესაბამისად იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის და უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლას არცერთ დოკუმენტში არ ჰქონდა გაწერილი ნუსხა იმ დოკუმენტაციისა, რაც უნდა ინახებოდეს დასაქმებულის პირად საქმეში.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია განსაზღვროს და გაწეროს იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც უნდა ინახებოდეს თითოეული დასაქმებულის პირად საქმეში. დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრა სკოლას საშუალებას აძლევს უზრუნველყოს შრომითი ურთიერთობებისთვის საჭირო ინფორმაციის სრული და სათანადო დაფიქსირება, შეამციროს ადმინისტრაციული ხარვეზები და განამტკიცოს სამართლებრივი დაცულობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებულია 27 მასწავლებელი, მათ შორის სკოლის დირექტორი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად მოპოებული აქვს 20 საათიან დატვირთაზე უფლებამოსილება რესურსცენტრიდან და ასევე მოპოვებული აქვს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად თანხმობა 2025-2026 სასწავლო წელს განახორციელოს პედაგოგიური საქმიანობა იმ სკოლაში, სადაც არის დირექტორის მ/შ. სკოლაში დასაქმებული 27 მასწავლებლიდან 23 უფროსია, 3 წამყვანია და 1 მასწავლებელი არის სამხედრო პირი, რომელიც ასწავლის სამხედრო საქმეს - დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლის ექიმს უდასტურდება სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მართვის სტრუქტურა მოიცავს სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, კათედრას, პედსაბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს და სხვა მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, რომელებიც სკოლის საჭროებიდან გამომდინარე იქმნება გარკვეული საქმიანობის შესასრულებლად. სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმის შემუშავება ასევე თანამონაწილეობითი პროცესია. სამეურვეო საბჭო განიხილავს და ადგენს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხებს, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, საკონკურსო კომისიები, თანამშრომელთა ჩართულობას კიდევ უფრო აძლიერებს და ქმნის თანამშრომლობით გარემოს. როგორც ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა სკოლის ორგანიზაციული კულტურა გამოირჩევა თანამშრომლობის და გაზიარებული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს არა მხოლოდ ეფექტიან მართვას, არამედ განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების რეალიზებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების უწყვეტობასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მასწავლებლების პროფესიული წარმატებები და საინტერესო პრაქტიკები რეგულარულად განიხილება საგნობრივ

კათედრებზე, რაც ხელს უწყობს კოლეგიალურ სწავლასა და საუკეთესო გამოცდილების გავრცელებას. ტრენინგებზე მიღებული გამოცდილება გაზიარებულია სამუშაო შეხვედრებზე, ხოლო სასწავლო მასალებსა და ვიდეოლინკებს მასწავლებლები აზიარებენ მესინჯერ ჯგუფის საშუალებით. ასევე აღსანიშნავია, რომ კორბოულის თემის ტერიტორიაზე არსებული სკოლების ქსელში შემაალი სკოლის მასწალებლები ერთმანეთთან თანამშრომლობით სისტემატურად აზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას.

რჩევა.სასურელია სკოლამ გაწეროს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკაში არსებული/გამოყენებული მექანიზმები დოკუმენტურად რადგან მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები ქმნის ერთიან, გამჭვირვალე და ყველა თანამშრომელისთვის თანაბარ მიდგომას. დოკუმენტირება უზრუნველყოფს, რომ წარმატებული პრაქტიკები დაფიქსირდეს და არ დაიკარგოს თანამშრომლების ცვლილების შემთხვევაში. სისტემურად დაიგეგმოს და განახორციელდეს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ;
- შინაგანაწესი (სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 10 ივნისის N4 სხდომის ოქმი);
- დასაქმებულთ პირად საქმეები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- ბრძანებები საკონკურსო კომისიების შექმნაზე, ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა მუშაობისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების ფორმები, მათ შორის: ხელმძღვანელის მიერ შეფასება, თვითშეფასება, კითხვარებით შეფასება, საზოგადოების შეფასება და დაკვირვება სამუშაო/საგაკვეთილო პროცესზე. ინტერვიუებით გაირკვა, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი აფასებს დამლაგებლების, დარაჯისა და ცეცხლფარეშის საქმიანობას და აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს, თუმცა ერთიანი, სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტი შეფასების მიმართულებით სკოლას არ აქვს შემუშავებული. საგნობრივი კათედრის წევრები ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს და ახორციელებენ კოლეგიალურ შეფასებას. მასწავლებლებს შესრულებული ჰქონდათ თვითშეფასება, განსაზღვრული ჰქონდათ პროფესიული განვითარების საჭიროებები და აღნიშნული ინფორმაცია სკოლას გადაგზავნილი ჰქონდა რესურსცენტრისთვის.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველია შეიმუშაოს კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების სისტემურ, სტანდარტიზებულ და გამჭვირვალე განხორციელებას, ხელს შეუწყობს პროფესიული საჭიროებების ზუსტ იდენტიფიცირებას და რესურსების მიზნობრივ დაგეგმვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის ანალიზით დადგინდა, რომ თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა ნაწილობრივ განხორციელდა. დასაქმებულებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, გაკვეთილებზე დასწრებები და გამოცდილების გაზიარება განხორციელებულია. 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია თვითშეფასების კითხვარის მომზადება, შევსება და ანალიზი. ყოველივე

ზემოთთქმული მიუთითებს სკოლის მზაობაზე იზრუნოს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ აღნიშნული საქმიანობა განხორციელებულია სისტემურად და გეგმიურად.

ხარვეზი.სკოლამ ვერ წარმოადგინა დასაქმებულთა შეფასების შედეგების საფუძველზე იდენტიფიცირებული მათი პროფესიული საჭიროებები, ვერ დადგინდა კავშირი თანამშრომელთა საჭიროებებსა და განხორციელებულ აქტივობებს შორის, არ იქნა წარმოდგენილი პროფესიული განვითარების განხორციელების გეგმა, რაც უზრუნველყოფს პროფესიული ზრდის პროცესის მიზანმიმართულ და ეფექტურ განვითარებას.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრა, რომ დასაქმებულთა შეფასებას, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პერსონალის განვითარების გეგმის შედგენას და აღნიშნული გეგმის განხორციელებას მოახდენს 10.12.2025-30.06.2026 წ პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, როს საფუძველზეც ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

გაიცა რეკომენდაცია. სკოლამ დასაქმებულთა შეფასება, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად პერსონალის განვითარების გეგმის შედგენა და აღნიშნული გეგმის განხორციელება უზრუნელყოს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (10.12.20250-30.06.2026 წ პერიოდში).

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, აქვს აღებული ვალდებულება, რომ იზრუნოს დასაქმებულთა განვითარებაზე შესაბამისად ის ინტენსიურად აწვდის სკოლის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში გამოცხადებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ რაც დაადასტურეს დასაქმებულებმაც ინტერვიუს დროს. პერსონალის კარიერული ზრდის მაგალითად დასახელდა ორი მასწავლებლის მიერ სტატუსის ამაღლების ფაქტი კარიერული წინსვლის სქემით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია, თუ როგორ უზრუნველყოფს სკოლა ახალი თანამშრომლის ეტაპობრივ ინტეგრაციას და სოციალიზაციას. დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპები (მოლოდინები, შეხვედრა, ოჯახის წევრობა) და ასევე კონკრეტული აქტივობები მათ შორის: სკოლის, პირადი ფუნქცია-მოვალეობების, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, სკოლაში დამკვიდრებული წესებისა და პოლიტიკების გაცნობა და სხვა. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს თანამშრომლის სწრაფ და ეფექტურ ადაპტაციას, ზრდის მისი საქმიანობის ეფექტიანობას და ამცირებს სისტემურ რისკებს. სკოლის მიერ დასაქმებულის სოციალიზაციის პროცესების განხორციელება დადასტურდა დასაქმებულებთან ინტერვიუს დროსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებას. აღნიშნული პოლიტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას და პროფესიული პასუხისმგებლობის გაძლიერებას. პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებისას დასახელდა პროფესიული ინიციატივების წახალისების პრაქტიკული მაგალითები: მასწავლებლები საუბრობდნენ მათი ინიციატივის საფუძველზე გავლილ ტრენინგებზე, რაც მათ პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს. სკოლის საქმისმწარმოებელმა აღნიშნა პროფესიული პროგრამების გავლის ფაქტი, რომელმაც გააუმჯობესა მისი ციფრული უნარები, რომელსაც წარმატებით იყენებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პირადი საქმეები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს: სასწავლო პროგრამების შეფასებასა და შესაბამის კონკრეტულ კრიტერიუმებს, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურას, კათედრის ხელმძღვანელების როლს საგანმანათლებლო რესურსებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის პროცესში, დაზუსტებული სადამრიგებლო გეგმების შემუშავების პროცესს, ადამიანური რესურსის შეფასებას კათედრების მიერ და შესაბამის კრიტერიუმებს, ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმებს, მატერიალური ბაზის შემოწმების კრიტერიუმებსა და განვითარებაზე ზრუნვის სტრატეგიას. აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში განვითარება გულისხმობს როგორც ძლიერი მხარეების შენარჩუნებას, ისე სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, რაც მიემართება სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარების და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისაკენ. პროცესული მიდგომისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის დასადასტურებლად, სკოლამ წარადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და განახლებული კურიკულუმები, რომლებიც შემუშავდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

სკოლამ, შიდა რეგულაციების შესაბამისად, შეაგროვა კათედრებისა და პასუხისმგებელი პირების ანგარიშები, განიხილა ისინი და მიღებული დასკვნების საფუძველზე განაახლა როგორც სამოქმედო გეგმა, ასევე კურიკულუმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები განისაზღვრება სხვადასხვა დოკუმენტში, მაგალითად: სასკოლო სასწავლო გეგმაში, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიაში. ნაწილობრივ პროცედურები აღწერილია ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში, თუმცა პროცესების სრული, სისტემური აღწერა და თანმიმდევრულად დოკუმენტირება არ არსებობს.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს იდენტიფიცირებული და აღწერილი სრულად სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა 2025 წლის 19 დეკემბრის N2-46 ბრძანებით დამტკიცებული მმართველობითი, ძირითდი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები, რომელშიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. შესაბამისად ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „ინდიკატორი დაკმაყოფილებულია“

ინდიკატორი დამაყოფილებულია.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას. დოკუმენტით აღინიშნება, რომ გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზნით შესაძლებელია მიმართონ სამეურვეო საბჭოს ან სკოლის დირექტორს, ასევე განსაზღვრულია შესაბამისი მიმართვის ფორმები. შინაგანაწესის მიხედვით, სკოლაში შემოსული განცხადება ან საჩივარი რეგისტრაციაში

უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინტერვიუთი დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოება იცნობს სკოლაში არსებულ საჩივრების განხილვის სისტემას. სკოლის დირექციის განმარტებით საჩივარი სკოლაში არ შესულა.
რჩევა. სასურველია სკოლამ უფრო დეტალურად გაწეროს საჩივრის წარდგენის და განხილვის პროცედურა, მათ შორის ვადები, რათა უზრუნველყოს პროცესების გამჭვირვალობა, ერთგვაროვანი მართვა და სამართლებრივი დაცვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში, შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე, რეგულირდება როგორც პერსონალის, ასევე მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლაში დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად, არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომლის ფუნქციაა განიხილოს დისციპლინური ხასიათის დარღვევები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და სამართლებრივ დაცულობას დისციპლინური პროცესების წარმართვისას. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სკოლა, სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმად მიიჩნევს მათ ინფორმირებულობას, ამიტომ შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებებს და ვალდებულებებს. ყველა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა სკოლაში ბრძანების სახით მოიცავს ინფორმაციას მისი გასაჩივრების პერიოდისა და ადგილის შესახებ, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულები მოიცავს მხარეებს შორის სადაო საკითხების რეგულირების წესს, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებში განსაზღვრულია დავის გადაწყვეტის პირობები. სკოლას განსაზღვრული აქვს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტლების გასაჩივრების მექანიზმიც.

ინდკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- შინაგანაწესი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას, საზოგადოების ჩართულობას, უკუკავშირის მიღებასა და მასზე რეაგირებას. სკოლას გააჩნია მშობელთა ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომელიც განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებას მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მიღწევების, გაცდენების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. დებულება ასევე ითვალისწინებს სკოლის უფლებას, მოუწოდოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქტიურად ჩაერთოს სკოლის ცხოვრებაში და მონაწილეობა მიიღოს სასკოლო აქტივობებში. გარდა აღნიშნულისა, სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციის არხებს: მშობელთა კრებებს, სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებს, საჭიროების შემთხვევაში - გამოკითხვის ფორმებს. სკოლის მიერ გაზიარებული პრაქტიკული მაგალითები ადასტურებს, რომ მშობლებისა და მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (მაგ. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისას). სკოლას გააჩნია ვებგვერდი, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან საინფორმაციო ფუნქციას. ასევე აქტიურად მოქმედებს სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის გვერდი, რაც კიდევ უფრო ზრდის საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობას. მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სატელეფონო შეტყობინებებს, მშობელთა კრებებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებს. დამატებით, დამრიგებლები თითოეული სასწავლო წლის დასაწყისში მართავენ შეხვედრებს მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს ღია დიალოგს, დროულ კომუნიკაციასა და ეფექტურ უკუკავშირს.

სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმების დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ და დეტალურად აისახება სკოლის არსებული პრაქტიკა და განისაზღვრება პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს: უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის ერთიან წესს,მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებისა და რეაგირების ჩამოყალიბებულ პროცედურებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი მტკიცებულებები და ინტერვიუს საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის: მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მმართველობით პროცესებში. სამეურვეო საბჭოს საქმიანობა დაფიქსირებულია შესაბამისი სხდომების ოქმებით, დღის წესრიგითა და მიღებული გადაწყვეტილებებით, რაც მიუთითებს საბჭოს აქტიურ ფუნქციურ ჩართულობაზე სკოლის მმართველობაში. მოსწავლეთა თვითმმართველობა მოქმედებს დადგენილი წესების შესაბამისად. წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩართულნი არიან სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათი ჩართულობის ხარისხს სკოლის შიდა მმართველობაში. მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო დოკუმენტების, მათ შორის კურიკულუმის და შეფასების სისტემის განხილვაში, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმებით. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში რეალურად ფუნქციონირებს მონაწილეობითი და კოლეგიალურობაზე დაფუძნებული მართვის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებრივ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთა ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- მოსწავლეთა თითმმართველობის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს ოქმები;
- სოლის ვებგვერდი;
- გამოკითხვის შესებული ფორმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ ლოკაციაზე (მანძილი ლოკაციებს შორის დირექტორის მ/შ-ს განმარტებით დაახლოებით 3,5-4კმ-ია). ორივე ლოკაციაზე სკოლის შენობები შემოღობილია და დაცულის უცხო პირთა გადაადგილებისგან. ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს N1 სხდომაზე, დოკუმენტი მოიცავს როგორც პრევენციულ, ასევე მონიტორინგის და რეაგირების კომპონენტებს და აწესრიგებს შემდეგ მიმართულებებს: სკოლის ქონების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგი, საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების დაცვა, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დერეფნებზე, საკლასო ოთახებში და სკოლის ეზოში უწყვეტ ზედამხედველობას, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის საკითხებს და დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციებს. **სკოლას არცერთ შენობაზე, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი არ აქვს უფლებამოსილ**

ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და აიღო ვალდებულება მიმდინარე წლის 24 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანისთან/პირთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, **გაიზიარა სკოლის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით და გასცა შესაბამისი რეკომენდაცია.**

სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელმაც შეისწავლა შენობის ტექნიკური მდგომარეობა (მხოლოდ 1 შენობის შემთხვევაში)და გასცა დასკვნა „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულში N35.12.49.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთასებული სსიპ ქრისტინე ხარშილაძის სახელობის კორბოულის N1 საჯარო სკოლის შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და უსაფრთხოა“ აღნიშნულ დასკვნაში ფიქსირდება შეუსაბამობა, სკოლის დასახელებასა და საკადასტრო კოდს შორის. დასკვნაში წარმოდგენილი საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია სხვა სკოლა. თუმცა სკოლის შენობის აღწერილობა შეეესაბამება კორბოულის N1 საჯარო სკოლის ძირითადი შენობის აღწერილობას და დასკვნაში დამნიშნავის ველში მითითებულია სკოლის დირექტორის მ/შ-ს სახელი და გვარი. გარდა აღნიშნულისა კორბოულის N1 საჯარო სკოლას აქვს ე.წ. შერწყმული სკოლა, რომლის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა სკოლას არ აქვს მოპოვებული.

რაც შეეხება სკოლის მიმართვას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ, სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N442 (24/11/2023 წელს) და წერილი, რომელშიც ნათქვამია, სკოლის ხანძარსაწინაარმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. სკოლის განცხადებით მათ არ აქვთ ფინანსური რესურსი, რათა უზრუნველყონ აქტში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა დახმარების გარეშე ამიტომ იმავე წელს 11 დეკემბერს სკოლამ მიმართა საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს შესაბამის სტრუქტურებთან შუამდგომლობის თხოვნით ფინანსურ დახმარებასთან დაკავშრებით და წარადგინა ბაზრის კვლევის ინვოისები, 2023 წლის 12 დეკემბერს სკოლის წერილი ფინანსური დახმარების თაობაზე გადაგზავნილი იქნა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განითარების სააგენტოში რესურსცენტრის მიერ. სკოლამ აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც, რომლის თანახმადაც სკოლის ხანძარსაწინაარმდეგო მდგომარეობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანს 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე. სკოლის პოზიცია გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

სკოლას არ ჰყას უსაფრთხოების სპეციალისტი.

ხარვეზი. სკოლას არ აქვს ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნა 51-ე ქუჩა N5 ში მდებარე სკოლის შენობაზე, ხოლო მე-4 ქუჩა N42,44 ში მდებარე შენობაზე მოპოვებულ ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნაში მითითებული სკოლის დასახელება და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი შესაბამისობაშია მოსაყვანი.

რჩევა სასურველია სკოლამ უზრუნელყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია:
ა. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადაში (2025 წლის 24 ნოემბრიდან 29 დეკემბრამდე) განახორციელოს აღებული ვალდებულება, შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან ორივე ლოკაციაზე არსებული შენობის შემთხვევაში.
ბ. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადაში (2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე მოახდინოს სკოლის ხანძარსაწინაარმდეგო მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა ორივე ლოკაციაზე არსებული შენობებისთვის.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც 51-ე ქუჩა N5 ში მდებარე სკოლის შენობაზე ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებისა და მე-4 ქუჩა N42,44 ში მდებარე შენობაზე მოპოვებულ ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნაში მითითებული სკოლის დასახელებისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრა პერიოდი 12.12.2025-30.06.2026 წ. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები:

გ.სტანდარტთნ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (12.12.2025-30.06.2026 წ) სკოლამ უზრუნველყოს 51-ე ქუჩა N5-ში მდებარე სკოლის შენობის ექასპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება .

დ. სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (12.12.2025-30.06.2026 წ) უზრუნველყოს მე-4 ქუჩა N42,44 ში მდებარე შენობაზე მოპოვებულ ექსპლოატაციის უსაფრთხოების დასკვნაში მითითებული სკოლის დასახელებისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი შესაბამისობაში მოყვანა

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლამ წარმოადგინა პირველადი გადაუდებელი მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლის საქმიანობას პრველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ლოკაციაზე. კორბოული, 51-ე ქუჩა N5 ში და კორბოული მე-4 ქუჩა N42,44 ში. მე-4 ქუჩაზე განთავსებულ შენობაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების

სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. 51-ე ქუჩა N5 ში მდებარე სკოლის შენობაში სამედიცინო კაბინეტი/პუნქტი არ არის. არ არის დასაქმებული ექიმი/ექთანი. შესაბამისად სკოლა სრულად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ხარვეზი. სკოლას 51-ე ქუჩა N5 მისამართზე არსებულ სკოლაში არ ჰყავს დასაქმებული ექიმი/ექთანი და არ აქვს სივრცე გამოყოფილი სამედიცინო კაბინეტისთვის/პუნქტისთვის. შესაბამისად ვერ უზრუნელყოფს პირველად დახმარების აღმოჩენას

სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმით 51-ე ქუჩა N5 მისამართზე არსებულ სკოლაში ექიმის/ექთნის დასაქმების და სამედიცინო პუნქტისთვის სივრცის გამოყოფის ვადად განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 19 დეკემბრიდან 2026 წლის 19 დეკემბრამდე. რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ინდიკატორის შეფასება „არ არის ინდიკატორი დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასების „ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია“

გაცემული იქნა რეკომენდაცია. სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (19.12.2025-19.12.2026 წ) უზრუნველყოს 51-ე ქუჩა N5 მისამართზე არსებულ სკოლაში ექიმის/ექთნის დასაქმება და სამედიცინო პუნქტისთვის სივრცის გამოყოფა

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სკოლას ჰყავს 4 დარაჯი, რომლებიც აკონტროლებენ ვიზიტორთა გადაადგილებას სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის დარაჯს განსაზღვრული აქვს სკოლის ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის კონტროლი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის სკოლა იყენებს მასწავლებლების მორიგეობის პრაქტიკას. სკოლას არა აქვს ვიდეომონიტორინგის სისტემა, შესაბამისად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N06/ნ ბრძანების მოთხოვნა ვერ სრულდება. სკოლას არ ჰყავს მანდატურები.

ხარვეზი. სკოლას არ აქვს ვიდეომონიტორინგის სისტემა. არ კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი არცერთ ლოკაციაზე.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა პერიოდი 12.12.2025-12.12.2026 წ. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“ გაცემული იქნა რეკომენდაცია სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (12.12.2025-12.12.2026 წ) უზრუნველყოს სკოლის შენობების ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა ორივე ლოკაციაზე.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის დამრიგებლები აქტიური მუშაობით, სადამრიგებლო საათებზე საუბრებით, დისკუსიებით აღმოფხვრიან ბულინგის, კიბერბულინგის, ძალადობის ფსიქოლოგიური შემთხვევებს. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს დაცულად. ეს

მიიღწევა კეთილგანწყობით, ურთიერთპატივისცემით, ეფექტური, პოზიტიური, თანმიმდევრული კომუნიკაციით, ემპათიით, თანამშრომელთა პასუხისმგებლობით, ნდობის მოპოვებით, პოზიტიური საკლასო კლიმატის შექმნაზე ზრუნვით, ურთიერთობებით, მშობლების ინფორმირებულობით, მათთან თანამშრომლობით და მზაობით, რომ ნებისმიერი პრობლემა გადაიჭრას მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლაში შექმნილ პოზიტიურ სასკოლო კლიმატზე ისაუბრეს მოსწავლეებმაც გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას ყოველდღიურად. ვიზუალური დათვალიერებით და ასევე სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სკოლა ნამდვილად იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს ორიე ლოკაციაზე არსებულ შენობებში. სკოლაში სანიტარული კვანძები გამიჯნულია ცალკე გოგონების და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სისუფთავეს მე-4 ქუჩა N42,44 ში განთასებულ სკოლის შენობაში, მეთვალყურეობენ ექიმი და მტუკი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტი. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც დარეგისტრირებულია https://pdps.ge/ - ზე. სკოლა ყოველი აქტივობის დროს იღებს თანხმობას მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისგან კონკრეტული პერსონალური მონაცემების, კერძოდ, ფოტო მასალის, ვიდეოგადაღების და სხვა, ინტერნეტსივრცეში განთავსებისათვის. სკოლის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფს პირადი საქმეების დაცვას უცხო პირთა წვდომისგან, რადგან ისინი განთავსებულია ღია კარადებში და არ ინახება ჩაკეტილ სივრცეში.

ხარვეზი. სკოლა ვერ უზრუნველყოფს პირადი საქმეების დაცვას უცხო პირთა წვდომისგან, რადგან ისინი განთავსებულია ღია კარადებში და არ ინახება ჩაკეტილ სივრცეში.

სკოლას მიეცა რჩევა სასურელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია გამოქვეყნდეს სკოლის ვებ-გვერდზე

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სურათები რომლითაც დაადასტურა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების ჩაკეტილ კარადებში განთავსების ფაქტი რაც გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შცვალა შეფასებით „ინდიკატორი დაკმაყოფილებულია“
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. როგორც გასაუბრებების შედეგად დადგინდა, პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები - eFlow, eSchool, ელ. ჟურნალი. სკოლაში დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამები ლიცენზირებულია. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის დოკუმენტაცია მატერიალური სახით აბარია საქმისმწარმოებელს. რომლის ფუნქციაშიც შედის სკოლის არქივის წარმოება და დაცვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთ საბჭოს სხდომების ოქმები სადაც განიხილება სკოლაში არსებული სიტუაციები არსებული რისკები და შესაბამისად სკოლისთვის მომზადებულიარეკომენდაციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის 20 ნოემბერის ბრძანება N2-43 პირველადი გადაუდებელი მექანიზმის დამტკიცების თაობაზე ;
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;

- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- 2025 წლის 20 ნოემბრის N2-30 ბრძანება „პერსონალური მონაცემების დაცვის წესის და მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N442 (24/11/2023 წ.);
- ინოისები;
- წერილი გაგზავნილი რესურსცენტრში ;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომებს ოქმები;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლამ, შენობის ფლობის დასადასტურებლად, წარმოადგინა საჯარო რეესტრის ორი ამონაწერი. პირველი ამონაწერის (საკადასტრო კოდი:35.12.60.029. მომზადების თარიღი 10/07/2025 წ) მიხედვით,

სოფელ კორბოულში მისამართზე საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორბოული, მე-4 ქუჩა, N42; 44 საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 23366.00 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შემდეგი შენობები: **N1** – 1252.8 კვ.მ (ძირითადი სასწავლო კორპუსი, სადაც I–XII კლასების საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს); **N2** – 30.24 კვ.მ (დამხმარე შენობა); **N3** – 45.94 კვ.მ (დამხმარე შენობა); **N4** – 609.08 კვ.მ (სკოლის ძველი შენობა, რომელიც ამჟამად არ გამოიყენება. დაკეტილია); **N5** – 10.4 კვ.მ (დამხმარე შენობა).

მეორე ამონაწერით (საკადასტრო კოდი: 35.12.82.019.მომზადების თარიღი 27/08/2024 წ), სოფელ კორბოულში მისამართზე საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი კორბოული 51-ე ქუჩა N5 რეგისტრირებულია 4229.0 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობები N1 შენობა 128.7 კვ.მ ფართით და N2 შენობა -217.9 კვ.მ ფართით. აღნიშნული შენობებიდან ერთში მიმდინარეობს სასწვალო პროცესი (I–IV კლასებში. კლასკომპლექტები I, IIIდა II, IV), ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 11 მოსწავლე. მეორე კი წარმოადგენს სკოლის ძველ შენობას და დაკეტილია.

აღნიშნული შენობები (სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი) მდებარეობს სოფელ კორბოულის სხვადასხვა უბანში, სკოლის დირექტორის მ/შ-ს განცხადებით სკოლებს შორის დაახლოებით 3,5-4 კმ-ია. აღსანიშნავია, რომ ორივე ამონაწერში შენობებისა და მიწის ნაკვეთების მესაკუთრედ, მითითებულია სახელმწიფო, ხოლო სსიპ – სოფელ კორბოულის საჯარო სკოლა განსაზღვრულია როგორც მოსარგებლე. ამასთან, არც ერთ ამონაწერში არ არის მითითებული სარგებლობის ვადა, ასევე არ არის დაკონკრეტებული სკოლის ზუსტი დასახელება ისე, რომ მოხდეს მისი ცალსახა იდენტიფიცირება. კერძოდ, მოსარგებლის გრაფაში ფიქსირდება ფორმულირება: „სსიპ – საჩხერის მუნიციპალიტეტის, სოფელ კორბოულის საჯარო სკოლა“, სოფელ კორბოულში კი ფუნქციონირებს რამდენიმე საჯარო სკოლა.

მე-4 ქუჩა, N42; 44 მისამართზე არსებული შენობაში განთავსებულია 14 საკლასო ოთახი, კომპიუტერული კაბინეტი, ასევე ერთი ოთახი პროფესიული განათლების პროგრამის განსახორციელებლად. გარდა ამისა, მოქმედებს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო სივრცეები, მათ შორის: დირექტორის და დირექტორის მოადგილის კაბინეტები, საქმისმწარმოებლის ოთახი, მოსწავლეთა თვითმმართველობის სივრცე, ბუღალტრის კაბინეტი, სამხედრო სწავლების ოთახი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, გასახდელებით აღჭურვილი სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. სველი წერტილები განლაგებულა ყველა სართულზე, სკოლის მფლობელობაშია 31 ლეპტოპი. მათგან 14 კომპიუტერულ ოთახშია, დირექცია/ადმინისტრაცია იყენებს 4-ს. ბიბლიოთეკაშია - 8, 51-ე ქუჩა N5 მისამართზე არსებულ სკოლაში 2 , სამასწავლებლოში 3 ცალი. სკოლას აქვს 6 ცალი პრინტერი, მათგან დაწყებით სკოლაშია 1 პრინტერი. 1 პრინტერი ბიბლიოთეკაშია. 7 პროექტორი (განაწილებულია ორივე ლოკაციაზე), დამატებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქთ 8 ბუკი. 51-ე ქუჩა N5 ნომერში მდებარე სკოლის შენობა არის ერთსართულიანი. 2 ერთმანეთში გამავალი საკლასო ოთახით. შენობაში არის სველი წერტილები, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და სივრცე სპორტული აქტივობებისათვის.

ხარვეზი:

სკოლას საჯარო რეესტრის ამონაწერებში არ აქვს მითითებული სკოლის ზუსტი დასახელება, რაც ქმნის იდენტიფიცირების პრობლემას.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ამონაწერები საჯარო რეესტრიდან სადაც უკვე ფიქსირდება სკოლის ზუსტი დასახელება. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასება „არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი დაკმაყოფილებულია“

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყველა წევრს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სკოლა უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის სივრცეების: ბიბლიოთეკის, სპორტული დარბაზის, კომპიუტერული კლასისა და სხვა სასწავლო სივრცეების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეების, ისე თანამშრომლებისთვის. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკით და კომპიუტერული კლასით სარგებლობის მკაფიოდ განსაზღვრული წესები, რომელთა შესახებაც მოსწავლეები და თანამშრომლები ინფორმირებულნი არიან. მოსწავლეთა და პერსონალის გამოკითხვამაც დაადასტურა, რომ მათ რეალურად აქვთ საჭიროებისამებრ ამ სივრცეებით სარგებლობის შესაძლებლობა და იცავენ სკოლაში დადგენილ პროცედურებს. ინტერვიუებისას მოსწავლეებმა მოიყანეს კონრეტული მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ინფრასტრუქტურას კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით მათ შორის გამოფენების მოსაწყობად, სპორტული შეჯიბრებების ჩატარებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დებულება), რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ძირითად პრინციპებსა და ფუნქციებს, საბიბლიოთეკო რესურსის გატანა-დაბრუნების მექანიზმს, საბიბლიოთეკო რესურსის დაზიანების ან დაუბრუნებლობის შემთხვევაში ქმედებებს. სამკითხველო დარბაზში ქცევის და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს. არეგულირებს მკითხველის უფლებებსა და მოვალეობებს, მკითხველის პასუხისმგებლობას. ბიბლიოთეკაში დაცული მასალები აღირიცხება, წიგნები მუშავდება საბიბლიოთეკო წესით, მოსწავლეთა/მკითხველთა მოძრაობა აღირიცხება რვეულში. აღნიშნული წესი მოქმედებს ორივე ლოკაციაზე განლაგებულ სკოლის შემთხვევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

დაწესებულებას აქვს ორი შენობა, სხვადასხვა ლოკაციაზე. მონიტორინგის პროცესში დადგინდა, რომ მათგან ერთ შენობაში (მე-4 ქუჩა N42,44), არ არის ადაპტირებულ სველი წერტილი, პანდუსი ან/და ლიფტი, რაც ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების სრულფასოვან ხელმისაწვდომობას. მეორე შენობაში (51-ე ქუჩა N5) უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობა: მას აქვს პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი და საჭირო ინფრასტრუქტურული პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო სივრცეს.

სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან უზრუნელყოფის შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლის ინფრასტრუქტურის შშმ პირებზე ადაპტირებისათვის განსაზღვრა პერიოდი 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და გასცა შესაბამისი **რეკომენდაცია.**

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღრულ ვადებში (2025 წლის 24 ნოემბერი-2026 წლის 24 ნოემბერი) უზრუნველყოს მე-4 ქუჩა N42,44 მისამართზე არსებული სკოლის შენობის ადაპტირება.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ორივვე ლოკაციაზე სრულად უზრუნველყოფს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას და ამ მიმართულებით მრავალმხრივ ფუნქციურ შესაძლებლობებს იძლევა. სასწავლო შენობები ისეა დაგეგმარებული, რომ ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციო-კულტურული აქტივობებისთვის საჭირო გარემოს. ერთ ლოკაციაზე სკოლა აღჭურვილია ფართო და ნათელი ფოიეებით, სააქტო და სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკით, ექიმის კაბინეტით, რაც ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას, ისე მოსწავლეთა ჩართულობას კულტურულ, შემოქმედებით და სპორტულ აქტივობებში. მეორე ლოკაციაზე სკოლას აქვს საბიბლიოთეკო და სპორტული აქტივობებისათვის სკოლის შენობაში გამოყოფილი სირცე, დიდი ეზო სხვადასხვა აქტივობების მოსაწყობად. ორივე ლოკაციაზე მოწყობილია საგამოფენო სივრცეები, სადც მოსწავლეთა ნამუშევრები არის გამოფენილი. ამრიგად, ინფრასტრუქტურა ქმნის პირობებს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის

წარმართვისთვის, არამედ მოსწავლეთა სოციალურ, ფიზიკურ და კულტურულ აქტივობებში ჩართულობისთვის. გარემო ხელს უწყობს ურთიერთობების განვითარებას, მოტივაციის ამაღლებასა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერებით სარგებლობის წესი;
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნელყოფის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა აღჭურვილია 31 ლეპტოპით, რომელსაც იყენებს როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვისას ორივე ლოკაციაზე. სკოლის ბალანსზეა 6 პრინტერი და 7 პროექტორი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ გაკვეთილებისა და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებისთვის. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას, მართვის საინფორმაციო სისტემას, ელექტრონულ ჟურნალს, Teams - ის პლატფორმას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ტექნოლოგიური საშუალებები მათთვის ხელმისაწვდომია როგორც უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში გამოყენების, ასევე, დოკუმენტაციის წარმოებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერებით სარგებლობის უფლება აქთ მოსწავლეებს და სკოლაში დასაქმებულ პირებს, წინასწარ შედგენილ და ლაბორატორიაში გამოკრული გრაფიკით. სკოლა უზრუნველყოფს სტაბილური ინტერნეტით ყველა მნიშვნელოვანი სივრცის (ადმინისტრაცია, კაბინეტები, ბიბლიოთეკა) დაფარვას. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის მასალები;
- კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია თანამშრომელთა საკვვალიფიკაციო მოთხოვნებითა და ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტით და შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები არ არის დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. ჟურნალში არ არის გატარებული ინფორმაცია საქმისწარმოების არსებული წესის შესაბამისად.

ხარვეზი. სარეგისტრაციო ჟურნალები არ არის დანომრილი, აკინძული, დამოწმებული და არ შეესაბამება საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა სარეგისტრაცო ჟურნალების დანომვრის, აკინძვის ფაქტი (ფოტომასალა) რაც გაზიარებული იქნა ექსპერტთა მიერ და ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით „ინდიკატორი დაკმაყოფილებულია“

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow და office 365. eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. ზოგიერთი ინფორმაცია და დოკუმენტი მიიღება აგრეთვე სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე korbouli@mes.gov.ge. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge. სკოლას ასევე აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: სკოლის მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. აქვეა განთავსებული ინფორმაცია მასწავლებლებზე, მოსწავლეებზე, საგაკვეთილო ცხრილი, სახელმძღვანელოების ბაზები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. საკანონმდებლო ვადების დაცვით ამზადებს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ. ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ყოველწლიურად აქვეყნებს კანონმდებლობით მოთხოვნილ ინფორმაციას საკანონმდებლო მაცნეში და აგზავნის შესაბამის წერილებს საქართველოს პარლამენტთან, პრეზიდენტთან და პრემიერმინისტრთან. სკოლა საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისად უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ - ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ, აღნიშნულის გათვალისწინებით ვებგვერდი იძლევა საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა სკოლა საზოგადოებასთან

კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი. დამატებით საკომუნიკაციო საშუალებებად სკოლა ასეე იყენებს სატელეფონო კომუნიკაციას, მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს. მშობლებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციას სკოლის შესახებ ძირითდად ღებულობენ ფეისბუქგვერდიდან, საერთო კრებებიდან და ელექტრონული ჟურნალიდან, სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო ინფორმაციის გავრცელებას. გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციასა და გავრცელებულ ინფორმაციას შორის არსებული შესაბამისობით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იყენებს მრავალფეროვან არხებს, მათ შორის მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებს და გამოკითხვებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლა ახორციელებს შედეგების ანალიზს და მნიშვნელოვანი უკუკავშირის შემთხვევაში მას იყენებს განათლების ხარისხის გაუმჯობესების, სასწავლო გარემოს გაძლიერებისა და ადმინისტრაციული პროცესების დახვეწის პროცესში. ინტერვიუების დროს როგორც მშობლებმა, ისე მოსწავლეებმა დაადასტურეს, რომ სკოლა მათ ინტერესებს რეალურად ითვალისწინებს. მოსწავლეებმა აღნიშნეს თვითმმართველობის წარმომადგენლების როლი და მოიყვანეს მაგალითი, თუ როგორ თანამშრომლობენ ისინი სკოლის ადმინისტრაციასთან კლუბების შექმნისა და სხვა ინიციატივების განხორციელების საკითხებში. მშობლებმა კი ხაზი გაუსვეს დამრიგებლებთან და დირექტორთან კომუნიკაციის შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ვებგერდი პორტალზე skolebi.emis.ge. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე და შესაბამისად ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია ქართულ ენაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, სტრუქტურა, სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები, კომპიუტერით და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას.

პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და სხვა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- 01.10.2023 წლის ბრძანება N1/კ-06 ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელში არსებული გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას აქვს კანონმდებლობის დაცვით დამტკიცებული ბუჯეტი, რომელიც ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობრივ სარგოს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტის ანალიზი ადასტურებს, რომ დაწესებულების ფინანსები უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესასრულებას. სკოლის ბიუჯეტი იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი მოიცავს წლიური სამოქმედო გეგმის, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენას. შესყიდვების წლიურ გეგმას სკოლა შეიმუშვებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი შეიმუშავებს ფინანსური წლის ბოლომდე. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორსა და ბუღალტერათან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს (10 დეკემბრამდე) დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა რესურსცენტრს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში წარუდგენს ფინანსურ ბალანსს, ტვირთავს ხელშეკრულებებს შესყიდვების ელექტრონულ გერდზე www.procurement.gov.ge ზე, შესყიდვენის გეგმას კი - ePLAN მოდულში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა;
- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც დასტურდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლის შინაგანაწესი შეიცავს და განსაზღვრავს ზოგად დებულებას, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, მოსწავლის წახალისების წესს, დისციპლინური დევნის და პასუხისმგებლობის სახეებს, დისციპლინური სახდელების დაკისრების წესს, მოსწავლის მატერიალურ პასუხისმგებლობას, განცხადების და საჩივრის განხილვის წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, სკოლაში ჩაცმულობის წესს. აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, კანონთან „ზოგადი განათლების შესახებ“.

მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები გაწერილია **მოსწავლის /მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის სკოლასთან დადებულ ხელშეკრულებაში,** იგი შეიცავს და განსაზღვრავს ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სკოლის უფლებებს, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებს, მოსწავლის უფლებამოსილებას, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, აგრეთვე შეიცავს ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს, დავის გადაწყვეტის და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის, შინაგანაწესის გაცნობას. სკოლაში ადგილზე შემოწმებით, აღნიშნული ხელშეკრულება დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა რეკვიზიტებს. აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი: „გასაჩივრების წესი“, რომელშიც არის გაწერილი მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებები, სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები, წარმოდგენილია შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი, აქვე არის მოცემული სკოლის შინაგანაწესის ის მუხლები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე

და სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების რეგულაციებს. ამ დოკუმენტის მიხედვით სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა.

ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოვლენის და მათი კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. სკოლის დირექტორის **2025 წლის 22 იანვრის ბრძანებით N2-12 დამტკიცებულია შიდა ინსტრუქცია ძალადობის შემთხვევებზე — „ბავშვების მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები“.** დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს რეგულირების სფეროს, სამართლებრივ საფუძვლებს, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ასევე სკოლის უფლებებსა და ვალდებულებებს. ინსტრუქციაში მოცემულია ბავშვთა მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის წესი, ძალადობის ეჭვისა და გამოვლენის შემთხვევაში მოქმედების ვალდებულებები და შესაბამისი პროცედურები. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვასა და კანონით გათვალისწინებულ რეაგირების წესებს. მოსწავლის უფლებების დაცვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-13, 20/25/2025 დამტკიცებულია დოკუმენტი: **„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ’**. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი: ,, პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მონაცემთა დამუშავების წესებს, ტერმინთა განმარტებებს, მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, მონაცემთა სუბიექტებსა და მათ კატეგორიებს, მონაცემების წყაროებს, მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, მონაცემთა გამოყენებისა და წვდომის წესებსა და ვალდებულებებს. სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციას დაცვის შიდა სასკოლო მექანიზმებს და წარმოდგენილია დანართების სახით („სკოლის ინფორმაციის დაცვის შიდა სასკოლო მექანიზმების დამტკიცების შესახებ“), დანართი N1 შეიცავს ტერმინთა განმარტებას, მოსწავლის მონაცემების დაცვას ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვას ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მონაცემების დაცვას მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვას ელექტრონული ბაზის წარმოებისას, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება, აღნიშნული შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. სკოლა

ხელს უწყობს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და აადვილებს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, სსსმ და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში შემდგომი ადაპტაციის და დეზადაპტაციის მიზნით, სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის N2-39 ბრძანებით დამტკიცებულია - დანართი 01 „სსიპ ქრისტინე ხარშლაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის **მოსწავლეთა/ პროფესულ სტუდენტთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ“** რომელიც ითვალისწინებს პირველკლასელთა, სსსმ და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის, შეიცავს ადაპტაციის წარმატების მახასიათებლებს/ნიშნებს და რეკომენდაციებს, დეზაპტაციის ნიშნებს და პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს გაცნობის პროცედურებს სკოლაში დასაქმებული და დაინტერესებული პირებისათვის.

სკოლას აქვს დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა (შეთანხმებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის ოქმით N3 სხდომაზე და დამტკიცებული პედსაბჭოს სხდომაზე ოქმი N6, 09/09/2025 წ), რომელშიც წარმოდგენილია (სსსმ) მოსწავლის შეფასების/დასწრების/გაცდენების/შინსწავლების პროცესების აღწერა, განმარტებულია ინკლუზიური განათლება/ინდივიდუალური გეგმა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა შიდა რეგულაციებით ახორციელებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლაში ფუნქციონირებს კანონით გათვალისწინებული სტრუქრურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო, ორგანიზებულ და კეთილგანწყობილ გარემოს. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომლის საქმიანობის მიზანია სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების დაცვას და ამასთანავე,მოსწავლეების, მათი ოჯახების და თანამშრომლობითვის ცნობიერების ამაღლებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მოსწავლის უფლებების გაცნობა ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში, რაც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამაში. სკოლას აქვს შემუშავებული და გამოკრულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე „სსიპ-ქრისტინე ხარშლაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი“ . სასკოლო საზოგადოებას /დაინტერესებულ პირს ასევე აქვს შესაძლებლობა სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე და სკოლის სოციალური ქსელში facebook-ზე გაეცნოს შესაბამის საჯარო ინფორმაციას, მის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, აგრეთვე, კარგად ორგანიზებული საიტის რუკა/საძიებო ველები. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შინაგანაწესს. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები - მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი, ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/დაინტერესებული პირთათვის სკოლის ვებგვერდზე, მოსწავლის მშობელთან /მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას აქვს დადებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ორ ეგზემპლიარად მშობელი/სკოლა. სკოლის მოსწავლის ფოტოებისა და ვიდეო მასალების გამოქვეყნება და სასკოლო ექსკურსიებსა და ლაშქრობებში მონაწილეობა ხორციელდება მოსწავლის მშობლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელთან შეთანხმების საფუძველზე, რაც დასტურდება მოსწავლის მშობლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ შევსებული თანხმობის ფორმებით ყოველი კონკრეტული ღონისძიებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული 2025-2026 წ. ხელშეკრულება, რომელიც შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მასში ასახულია მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, აღნიშნული ხელშეკრულება დასტურდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით და შეიცავს მხარეთა რეკვიზიტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი; სამეურვეო საბჭოს ოქმი N 4 ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- დისციპლინარული კომიტეტის ოქმი N1 თავმჯდომარის და მდივნის არჩევა; დამტკიცებული ბრძანებით N2-32 29.09.2025;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025წლის 20 ნოემბრის ბრძანება N-2-42 ,,მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმის დამტკიცების შესახებ ;
- სკოლის დირექტორის მ/შ 2025 წლის 20 იანვრის ბრძანება N2-12 სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესის და მექანიზმი;
- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 ნოემბრის ბრძანება N2-39 მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება N2-45 ინკლუზიური განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმი N1 (წლის დასაწყისში) .

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ, რომელშიც გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის მობილობის, კლასის და საფეხურის დაძლევის წესი. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ, მოსწავლე რეგისტრირდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, ხოლო სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები, აგრეთვე, აღწერილია სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესში. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილია საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. მოსწავლის ჩარიცხვის წესისა და პირობების, აგრეთვე, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის დაძლევისა და მობილობის წესის გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და გაზიარება უზრუნველყოფილია სკოლის მიერ მოსწავლის მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, რაც დასტურდება სკოლის მიერ სკოლის ვებგერდზე განთავსებული დოკუმენტით, სადაც თავმოყრილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების შესახებ შემუშავებულია საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. სკოლის eShool-ის ბაზის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლა იცავს საკუთარ რეგულაციებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის „შინაგანაწესი“განთავსებულია საჯაროდ, სკოლის ფოიეში, სპეციალურ სტენდზე და გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. სკოლის ვებგვერდის დათვალიერებით დასტურდება ბიბლიოთეკითა და კომიუტერული კლასით სარგებლობის წესები საჯაროობა. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა ღია კარის დღე დაინტერესებული პირებისთვის, სიახლეებისა და ცვლილებების შესახებ.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა აქტივობების შესახებ, კერძოდ სკოლაში ჩატარებული ღონისძიებები, პროექტები, საჩვენებელი გაკვეთილები და სხვა. ინფორმაციის განახლება ხორციელდება რეგულარულად და ატარებს არადისკრიმინაციულ ხასიათს. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისათვის სკოლა ახდენს მშობელთა ინფორმირებას და მათგან იღებს თანხმობას. მშობელთა ინფორმირება და თანხმობა ხორციელდება დამრიგებლის მეშვეობით პირადი კომუნიკაციის გზით. სკოლის მიერ განხორციელებულ აქტივობებში ყველა მოსწავლე სარგებლობს თანაბარი უფლებით და დისკრიმინაციის გარეშე აქვს ჩართვის/მონაწილეობის/რესურსის სარგებლობის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის მიერ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტები, იმის დასამტკიცებლად, რომ პირველ კლასელ მოსწავლეებს გადაეცათ ინდივიდუალურად პორტატული კომპიუტერები; ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობაშ გადაცემის თაობაზე, არსებული ხელშეკრულება კანონის შესაბამასია, მოიცავს

ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, დავებსა და გადაწყვეტის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადებს და ცვლილების შეტანის წესს, აქვს მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2025წლის 20 ნოემბრის ბრძანება N 2-41 ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების თაობაზე ;
- შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N 1 (08.10.2025);
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N3 (12.09.2025);
- პედსაბჭოს ოქმი N 3 (09.09.2025);
- მშობელთა კრების ოქმი N 3 .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა/პროფესიული სტუდენტების ტრანზიციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის №2-39 ბრძანებით (დანართი №1 – „მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ“). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროცესებსა და აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლაში ახლად ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციას. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიზანია მოსწავლეს შეუწყოს ხელი სასწავლო პროცესსა და სასკოლო გარემოსთან სწრაფად და წარმატებით შეგუებაში, უზრუნველყოს ეფექტიანი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ხელი შეუწყოს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას. წესით განისაზღვრება დეზადაპტაციის ნიშნებიც, ასევე შესაბამისი ზომები, რომლებიც სკოლას შეუძლია გამოიყენოს ადაპტაციის გასაადვილებლად. სკოლის დირექცია ახალი მოსწავლის შესახებ საჭირო ინფორმაციას, მათ შორის წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს, გადასცემს შესაბამის კლასის დამრიგებელს. კლასის დამრიგებელი აცნობს ახალ მოსწავლეს კლასის მასწავლებლებს. პირველივე სადამრიგებლო/კლასის საათი ეთმობა გაცნობით შეხვედრას. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან, რათა მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრებასთან შეგუების პროცესის შესახებ. ის ასევე აცნობს მოსწავლეს მის უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის კოდექსს, მოქმედ შიდა აქტებსა და უსაფრთხოების ძირითად წესებს. მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენება დაადასტურეს მოსწავლეებმა გასაუბრების დროს. (გასაუბრებას ესწრებოდა სკოლაში მობილობით გადმოსული 2 მოსწავლე და პირველკლასელი მოსწავლე)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლების დაწყების პირველივე დღიდან მიზანმიმართულად ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესს ახალ სასწავლო გარემოში. ადაპტაციის მექანიზმები შემუშავებულია სკოლის დონეზე და განსხვავდება მოსწავლეთა ასაკობრივი, ინდივიდუალური და კლასობრივი საჭიროებების მიხედვით. პირველკლასელთა ადაპტაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს დამრიგებლისა და მასწავლებლების პოზიტიური განწყობა და მხარდამჭერი დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია პირველკლასელებისთვის ინფორმაციის გასაგებად და თანმიმდევრულად მიწოდება. სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება მრავალფეროვანი აქტივობები პირველკლასელი მოსწავლეებისათვის, რომლებიც მოიცავს თემატურ შეხვედრებს, ერთობლივი წესების შემუშავებას, თამაშებით სწავლას, შემეცნებით აქტივობებს, ილუსტრირებულ რესურსებსა და საგანმანათლებლო ვიდეობს. აღნიშნული მეთოდები უზრუნველყობს მორალურ-ემოციურ მხარდაჭერას და ხელს უწყობს მშვიდ გარემოში ინტეგრაციას.

მობილობით გადმოსული მოსწავლეების შემთხვევაში, სკოლა ახორციელებს ინტეგრაციის ერთობლივ პროცესს: ადმინისტრაცია და დამრიგებელი გეგმავენ გაცნობით შეხვედრებს, მოსწავლის წარდგენას კლასის წინაშე, ჯგუფურ აქტივობებსა და სხვა ინტეგრაციულ ღონისძიებებს. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის პირველადი შეგრძნებებისა და ქცევითი ცვლილებების დინამიკას და საჭიროების შემთხვევაში დროულად რეაგირებენ. ადაპტაციის გასამარტივებლად სკოლა ასევე იყენებს შემეცნებით ექსკურსიებს, კლასგარეშე აქტივობებს და სხვადასხვა ღონისძიებებს. საბოლოოდ, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლას გააჩნია მიზანმიმართული და მრავალდონიანი ადაპტაციის სისტემა, რომელიც იწყება სწავლის დაწყების პირველივე დღიდან და ეფუძნება პროფესიულ თანამშრომლობასა და სისტემურ მიდგომებს. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან, იღებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრებასთან შეგუების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მხარდაჭერას.სკოლის მიერ შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული აქტივობების პრაქტიკაში განხორცელება დაადასტურეს გასაუბრების დროს მოსწავლეთა მშობლებმა და ასევე მოსწავვლეებმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ განმავითარებელი უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი კონსულტირება საგნის მასწავლებლებთან. მასწავლებლის ხელშეკრულებაში არის შესაბამისი პუნქტი, რომ სკოლა ვალდებულია მიაწოდოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია, არასასურველი აკადემიური შედეგის შემთხვევაში, მასწავლებელი დირექციის გადაწყვეტილებით უტარებს მოსწავლეს დამატებით გაკვეთილებს, რათა გააუმჯობესოს შედეგები. შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად სკოლაში ინერგება ვერიფიკაციის მექანიზმი, რამაც უნდა გააუმჯობესოს შეფასების სისტემის ხარისხი სკოლაში. კლასის დამრიგებელი თვეში ერთხელ ინდივიდუალურად აცნობს მოსწავლის მშობელს ინფორმაციას აკადემიური მოსწრების შესახებ სხვადასხვა საგნებში, კოორდინაციას უწევს მშობლებისა და საგნის მასწავლებლების კავშირს, რაც უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას მოსწავლის საჭიროებების დადგენაში და სწავლა-სწავლების შედეგების გაუმჯობესებაში. აღსანიშნავია, რომ სკოლას სასკოლო გეგმაში გაწერილი აქვს შინ სწავლის მექანიზმები. ასევე მოსწავლის ინტერესები გათვალისწინებულია მეორე უცხოური ენის არჩევისას. სკოლა სთავაზობს მე-5 კლასის მოსწავლეებს რუსულ ენას და გერმანულ ენას. მოსწავლის აკადემიური მიღწევების მხარდასაჭერად დამტკიცებული და გაწერილია „სსიპ ქრისტინე ხარშილაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N1 საჯარო სკოლის ,,სასკოლო სასწავლო გეგმა“ (სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის ოქმი N3 სსგ-ს შეთანხმების თაობაზე, პედსაბჭოს სხდომაზე ოქმი N4, 09/09/2025 წ. სსგ-ს დამტკიცების თაობაზე). სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია „გამოცდის ტიპები“: სემესტრული გამოცდა; წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა; საშემოდგომო გამოცდა; ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა. სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა; მოსწავლისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება შესაბამის საგანში კონსულტაციები. მასწავლებლების სასწავლო პროცესის დაგეგმვა/ორგანიზებისას იყენებენ დიფერენცირებულ სასწავლო მიდგომებს, რათა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაში, მასალის გაგება-გააზრებაში, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებაში და თვითშეფასებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირებას განათლების ექსტერნატის ფორმით მიღების, სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით სემესტრული გამოცდების შესაძლებლობის შესახებ. სკოლას დაცული აქვს საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის წინაპირობა. ამ გზით სკოლა ეხმარება მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლა აცნობს მოსწავლეებს/მშობლებს მობილობის დროს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ განსახორციელებელი აქტივობების და მობილობის შეზღუდვების შესახებ და ა.შ. სკოლას გაწერილი აქვს ყველა წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი ვადები. საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის საიტზე, სკოლის ფოიეში, სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ.შ. მიერ ბრძანებით N 2-40 (20.11.2025); არსებული დოკუმენტით აღწერილია მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმები: მოსწავლეს უფლება აქვს მიმართოს წერილობით სკოლის დირექციას საკუთარი ინიციატივით, ასევე მიმართოს თვითმმართველობას. თვითმმართველობა და მასწავლებელი, დამრიგებელი უფლებამოსილია დაუჭიროს მოსწავლეთა ინიციატივას მხარი; დირექტორის ინდივიდუალური სამართლებლივი აქტის საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და პროცესების მონიტორინგის ჯგუფი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, აღსანიშნავია, რომ თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სკოლაში მიმდინარე პროცესში, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე კლასებიდან შემოსული წინადადებები, კითხვები მუშავდება. თვითმმართველობა და ადმინისტრაცია ერთობლივად მუშაობის შედეგად, იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელიც ეცნობება დაინტერესებულ პირებს. სკოლა ფინანსურადაც მხარს უჭერს სკოლის მოსწავლეების ინიციატივების განხორციელებას, მაგალითად, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით და სკოლის სპორტის მასწავლებლების ჩართულობით ჩატარდა სპორტული ტურნირები და სხვადასხვა გასართობი/შემეცნებითი ღონისძიებები, ასევე თვითმართველობის

ინიციატივით იგეგმება კითხვის და ფილმის ჩვენების კლუბის ორგანიზება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კლუბის მუშაობის შესახებ მოსწავლეთა მსჯელობა; აღსანიშნავია, რომ თვითმართველობიამ ჩაატარა მოსწავლეთა გამოკითხა მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით და ასევე მოხდა მოკვლევა თუ რომელი პროფესიის ადამიანთან ისურვებდნენ შეხვედრას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ატარებს ინტერვიუირებას-გამოკითხვას მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ყოველთვის ისმენს მშობელთა და დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივებს და აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. მაგ. ასეთი შემთხვევა იყო სასწავლო წლის ბოლოს ექსკურსიის დაგეგმვა. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მოსწავლეთა/მშობელთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია მოსწავლეთა და მშობელთა ჯგუფები. ასევე აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უკუკავშირის შემდეგ სკოლამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა ინიციატივას კლასებს შორის ფეხბურთის ჩემპიონატის ჩატარებას. უკუკავშირის მიღება ხორციელდება პირველ ეტაპზე დამრიგებელთან და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება დირექციასთან შეხვედრები. საჭირო ინფორმაცია და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის საიტზე, სკოლის ფოიეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-39 (20.11.2025წ) ,,მოსწავლეთა/პროფესიული სტუდენტთა ადაპტაციის წესი“და წესის დამტკიცების შესახებ ;
- ბრძანება N2-40 (20.11.2025წ) მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის დამტკიცების თაობაზე;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი N1
- ბრძანება N 2-30.(10.10.2025) თვითმმართველობის დებულების დამტკიცების თაობაზე.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის მეშვეობით სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენაში. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს, რაც ეხმარება მათ კონკრეტული პროფესიის სწორად არჩევაში. სკოლა იწვევს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, უმეტესად არსებულ სკოლა დამთავრებულებს პროფესიებზე სასაუბროდ. სკოლას ასევე სტუმრობდნენ გორის თავდაცვის აკადემიის წარმომადგენელები. სკოლის ბაზაზე არის პროფესიული სასწავლებელი - კომპიუტერული ქსელი და სისტემები; ამ ეტაპზე მიმდინარეობს საკლასო ოთახის კეთილმოწყობა. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობენ სკოლის მოსწავლეები. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა დაადასტურეს, რომ სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებებს. მათ აღნიშნეს კმაყოფილება სკოლის მიერ შეთავაზებული პროფესიული პროგრამის არსებობისა და მისი დაუფლების შესაძლებლობის შესახებ, რაც მათთვის დამატებით საგანმანათლებლო და კარიერულ შესაძლებლობებს ქმნის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

გასაუბრების დროს მოსწავლეებმა, დირექციამ და მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. ვიზიტების შემდეგ ხშირად მიუღიათ მოსწავლეებს გადაწყვეტილება და

ჩამოყალიბებულან მომავალი პროფესიის არჩევანში. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის მე-9 და მე-12 კლაასების დამრიგებლები სისტემატურად ესაუბრებიან მოსწავლეებს სხვადასხვა საჭირო თუ აქტუალური/დეფიციტური პროფესიების შესახებ. თუმცა აღნიშნულის დასტურად სკოლამ შესაბამისი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა

სკოლას მიეცა რჩევა. სასურველია მოახდინოს არსებული პრაქტიკის ფორმალიზება და მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასთან დაკავშრებული საკითხების მართვა გაწეროს კონკრეტულ მექანიზმებად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლის მშობლებთან, მოსწავლეებთან და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს გაითვალისწინებს და ამ ფორმით გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებსა დაგეგმვის პროცესში.

სკოლას მიეცა რჩევა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაწეროს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების შეფასების შედეგების გამოყენებას დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბაზაზე განსახორციელებელი პროგრამა „კომპიუტერების ქსელი და სისტემების პროგრამები“;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელშიც აღწერილია სსსმ მოსწავლის სწავლის ხელშემწყობი მექანიზმები, რაც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით განსაზღვრულ რეგულაციებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა ჩართულია „მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების '' პროგრამაში. მომსახურების შემსყიდველია საჩხერის მუნიციპალიტეტი. სკოლა აწარმოებს ტრანსპორტით მომსახურებაზე სახელმწიფო შეყიდვების ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმის ტაბელს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მშობელთა /კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო მომსახურებას

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა ტრანსპორტირების აღრიცხვის ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 29.12.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. კოზასაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ელეფერ.